ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 281

ქალაქი ქუთაისი 24 აპრილი 2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მდებარე ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირის №32ა-ს დასავლეთით), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტის, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის 2024 წლის 2 თებერვლის №6/5542 და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 16 აპრილის №44-4424107405 წერილობითი მომართვების შესაბამისად:

მუხლი 1. გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ, საკუთრებაში, შემდგომში განკარგვის მიზნით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირის №32ა-ს დასავლეთით მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდის №03.01.21.901; ფართობი: 596.00 კვ.მ.).

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქონების გადაცემის მიზნით, უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

საქართველო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო ბას. № 432 "25" 04 2024